

ვოლიუმის მეავას დევიზითი გამოცვაული ანემია

**კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო
სტანდარტი**

(პროტოკოლი)

ფოლიუმის მზავას დეფიციტით გამოცვეული ანემია

1. დაავადების დეფიციტია

ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეული ანემია მეგალობლასტურ ანემიებს მიეკუთვნება. პათოგენეზით ის ვიტამინ B_{12} -ის დეფიციტით განპირობებულ ანემიებს ჰგავს. ფოლიუმის მჟავას დეფიციტი იწვევს ნუკლეინის მჟავების სინთეზის დარღვევას, რაც ყველაზე მეტად აზიანებს ძვლის ტვინს, ირლვევა ნორმალური ერითროპოეზი და ვითარდება მეგალობლასტური სისხლწარმოქმნა (1).

2. დაავადების დამადასტურებელი და გამომრიცხვის სიმატომები

ფოლიუმის მჟავას მწვავე დეფიციტი შეიძლება განვითარდეს ფოლიუმის მჟავას ანტაგონისტების მიღების შემდეგ. მას ახასიათებს:

- მაღის დაკარგვა;
- ტკივილი მუცელის არეში;
- გულისრევა;
- დიარეა;
- წყლულები პირის დრუში;
- წყლულები საყლაპავში;
- კანის დაზიანება;
- თმის ცვენა.

ფოლიუმის მჟავას ქრონიკული უკმარისობის გამოვლინება არის ზოგადი ჩივილები, რომელიც ანემიისთვის არის დამახასიატებელი:

- საერთო სისუსტე;
- ადგილად დაღლა;
- დეპრესია;
- მოთენილობა;
- წყლულები ენაზე;
- წყლულები პირის დრუში.

ვიტამინ B_{12} დეფიციტური ანემიისაგან განსხვავებით ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეულ ანემიას არ ახასიათებს ნევროლოგიური სიმპტომატიკა: პარესოზიები, კიდურებზე ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება, ქვემო კიდურების მგრძნობელობის დაკარგვა და სხვა.

3. დაავადების დამადასტურებელი და გამომრიცხვის პრიტერიუმები

ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეული ანემიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები:

1. სისხლის საერთო ანალიზი: პიპერქრომული ანემია, ერითროციტების მაკროციტოზი, ნეიტროფილების პიპერსეგმენტაცია, რეტიკულოციტოპენია, ლეიკოპენია, ნეიტროფილების პიპერსეგმენტაცია, ორომბოციტოპენია;
2. გლოსიტისა და ატროფიული გასტრიტის არარსებობა;
3. ფუნიკულური მიელოზის არარსებობა;
4. სისხლში ვიტამინ B_{12} ნორმალური შემცველობა;

- სისხლის შრატში და ერითროციტებში ფოლიუმის მჟავას რაოდენობის შემცირება;
- შარდის მეთილმალონის მჟავის ნორმალური სეპრეცია;
- შესაძლებელია არაპირდაპირი ბილირუბინის რაოდენობის მომატება (ერითროციტების პერიოდიზის შედეგად).

დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გატარდეს იმ პათოლოგიებთან, რომლებიც ხასიათდებიან მეგალობლასტური სისხლწარმოქმნით:

- ვიტამინს B₁₂ დეფიციტური ანემია;
- მწვავე ერითრომიელოზი;
- მიელოდისპლაზიური სინდრომი;

პირველ რიგში დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გატარდეს ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეულ ანემიასა და ვიტამინ B₁₂ დეფიციტურ ანემიას შორის. ამ პათოლოგიების როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური სურათი მსგავსია, მხოლოდ ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეულ ანემიას არ ახასიათებს ნევროლოგიური სიმპტომატიკა, ფუნიკულარული მიელოზის მოვლენები: კიდურების დაბუჯება, ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება და ა.შ. აღნიშნული დაავადების დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური კრიტერიუმები მოცემულია ცხრილში №1.

ცხრილი 1

დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ვიტამინ B₁₂ დეფიციტურ ანემიასა და ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეულ ანემიას შორის

ნიშნები	ვიტამინ B ₁₂ დეფიციტური ანემია	ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეული ანემია
გასტრექტომია ანამნეზში	ხშირია	არა
ავადმყოფთა ასაკი	ხშირია მოხუცებში	ხშირია ასალგაზრდებში
ატროფიული (ჰუნტერის) გლოსიტი	დამახასიათებელია	არ ახასიათებს
ატროფიული გასტრიტი აქილიით და კუჭში პეპსინის დონის შემცირებით	დამახასიათებელია	არ ახასიათებს
ფუნიკულარული მიელოზი	დამახასიათებელია	არ ახასიათებს
ვიტამინ B ₁₂ ზემოქმედება რეტიკულოციტების რაოდენობაზე	მნიშვნელოვნად ზრის	არ მოქმედებს
ფოლიუმის მჟავას შემცველობა სისხლის შრატში და ერითროციტებში	სისხლის შრატში მომატებულია, ერითროციტები უმნიშვნელოდ დაქვეითბულია ან ნორმალურია	დაქვეითებულია

ვიტამინ B ₁₂ რაოდენობა სისხლში	მნიშვნელოვნად დაქვეითებულია	ნორმალურია
მეთილმალონური მჟავას გამოყოფა შარდით	მნიშვნელოვნად გაზრდილია	ნორმალურია

სამწუხაროდ ხშირად ვერ ხერხდება ფოლიუმის მჟავასა და ვიტამინ B₁₂ განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ სხვა დიაგნოსტიკური ნიშნები.

კლინიკურ პრაქტიკაში უფრო ხშირია ვიტამინ B₁₂ დეფიციტური ანემია, ვიდრე ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეული ანემია. ვიტამინ B₁₂-ის დანიშვნიდან 1 კვირაში უნდა განვითარდეს რეტიკულოციტური კრიზი, წინააღმდე შემთხვევაში საფიქრელია, რომ საქმე გვაქვს ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეულ ანემიასთან. თუ არ არის საშუალება დავაზუსტოთ დიაგნოზი, მაშინ ინიშნება ფოლიუმის მჟავაც და ვიტამინ B₁₂. თუ არ დადასტურდა ვიტამინ B₁₂ და ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეული ანემიის დიაგნოზი, უნდა გამოირიცხოს მიელოდისკლაზიური სინდრომი. უკანასკნელის დიაგნოსტიკა საჭიროებს რთულ გამოკვლევებს სპეციალიზირებულ პემატოლოგიურ კლინიკაში. მათ შორის ციტოგენეტიკურ და ციტოქიმიურ გამოკვლევებს, იმუნოფენოტიპირებას.

4. დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ტესტები და სპეციალისტთა კონსულტაციები

დაავადების მკურნალობა ჩვეულებრივად ტარდება ამბულატორიულად. სტაციონარული მკურნალობა ტარდება მხოლოდ მძიმე შემთხვევებში.

I ვიზიტისას მკურნალ ექიმთან – 24 საათის განმავლობაში უნდა ჩატარდეს შემდეგი გამოკვლევები:

1. სისხლის საერთო ანალიზი: პემოგლობინი, ერითროციტების რაოდენობა და მორფოლოგია, ფერადობის მაჩვენებელი, რეტიკულოციტების, ლეიკოციტები, თრომბოციტები, ლეიკოციტური ფორმულა, ედსი;
2. ძვლის ტგინის მორფოლოგია;
3. სისხლის ბიოქიმიური ანალიზი: ბილირუბინის განსაზღვრა, ცილა და ცილის ფრაქციები;
4. სისხლში ვიტამინ B₁₂ და ფოლიუმის მჟავას განსაზღვრა (თუ შესაძლებელია);
5. შარდის საერთო ანალიზი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოკვლევა პირველივე 24 საათში უნდა ჩატარდეს, ამის შემდეგ კი ჩამოთვლილი გამოკვლევები:

- მუცლის ღრუს ორგანოების: ელენთის, კუჭქვეშა ჯირკვლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლის ექოსკოპიური გამოკვლევა;
- ფიბროგასტროდუოდენოსკოპია;
- ფიბროკოლონოსკოპია;
- განავლის გამოკვლევა პელმინთებზე.

ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეული ანემიის დიაგნოზის დასმის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მკურნალობა ფოლიუმის მჟავით. თუ დიაგნოზი საეჭვოა და არ არის გამორიცხული ვიტამინ B₁₂ დეფიციტური ანემია, ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესების საშიშროების თავიდან ასაცილებლად უნდა დაინიშნოს ორივე ვიტამინი: ვიტამინ B₁₂ 500გ და ფოლიუმი მჟავა 15მგ.

აღნიშნულის შემდეგ უნდა დადგინდეს დაავადების გამომწვევი მიზეზი. პირველ რიგში ანამნეზის საფუძველზე უნდა დაზუსტდეს ლებულობს თუ არა ავადმყოფი პრეპარატებს, რომლებიც ხელს უწყობს ფოლიუმის დაფიციტის განვითარებას:

- ანტიბიოტიკები, რომლებიც გამოიყენება ტუბერკულოზის და შარდსასქესო ორგანოების ინფექციების დროს;
- კრუნჩევის საწინააღმდეგო პრეპარატები;
- II ტიპის შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატი – მეტფორმინი;
- ციტოსტატიური პრეპარატები (მეტოტრექსატი);
- ანტინფექციური პრეპარატები: კოტრიმოქსაზოლი და ა.შ.;
- კალიუმ შემანარჩუნებელი დიურეტიკები;
- ციტოსტატიკი – ფტორურაცილი;
- ანტილეიკემიური პრეპარატები –ჰიდროკარბამიდი, ციტარაბინი, მეტოტრექსატი.

ანამნეზით უნდა დადგინდეს კვების თავისებურებები, ვინაიდან კვების დარღვევა არის დაავადების გამომწვევი ყველაზე ხშირი მიზეზი.

დაავადების გამომწვევი მიზეზის დასადგენად აუცილებელია მთელი რიგი გამოკვლევები, მათ შორის გასტროენტეროლოგის კონსულტაცია – ფიბროგასტროდუოდენოსკოპია, ფიბროკოლონოსკოპია. ვინაიდან ხშირად დაავადების მიზეზი კუჭ-ნაწლავის პათოლოგია: ნაწლავის რეზექცია, განსაკუთრებით წვრილი ნაწლავის, ენზიმოდეფიციტური ენტეროპათიები, ენტერიტის, ნაწლავების ამილოიდოზი, კრონის დაავადება, წვრილი ნაწლავის სიმსივნეები.

ავადმყოფებს ხშირად აქვთ ჩივილები გულ-სისხლძაღვთა სისტემის მხრივ, მიოკარდიოდისტროფიის სინდრომის ნიშნები, ამიტომ აუცილებელია კარდიოლოგის კონსულტაცია, ეპბ.

II ვიზიტი მკურნალ ექიმთან – მკურნალობის დაწყებიდან მე-7 დღეს ვიტამინ B₁₂ დეფიციტური ანემიისაგან განსხვავებით არ ვითარდება რეტიკულოციტური კრიზი. ჩვეულებრივად რეტიკულოციტების რაოდენობა ნორმაშია ან უმნიშვნელოდ მატულობს, რაც დიფერენციალური დაიგნოზის გატარების ერთ-ერთი საშუალებაა. უნდა გაკეთდეს სისხლის საერთო ანალიზი: ერითროციტების რაოდენობა და მორფოლოგია, პემოგლობინი, ფერადობის მაჩვენებელი, რეტიკულოციტები, თრომბოციტები, ლეიკოციტური ფორმულა, ედსი. ავადმყოფის მდგომარეობა მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში უმჯობესდება.

III ვიზიტი მკურნალ ექიმთან – მკურნალობის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ კეთდება სისხლის საერთო ანალიზი: პემოგლობინი, ერითროციტების რაოდენობა და მორფოლოგია, ფერადობის მაჩვენებელი, რეტიკულოციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტები, ლეიკოციტური ფორმულა, ედსი. მატულობს ერითროციტების, თრომბოციტების და ლეიკოციტების რაოდენობა.

IV ვიზიტი მკურნალ ექიმთან – მკურნალობის დაწყებიდან 1 თვის შემდეგ, კეთდება სისხლის საერთო ანალიზი. ჩვეულებრივად სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლები – პემოგლობინი, ერითროციტები, ფერადობის მაჩვენებელი, ლეიკოციტები, ლეიკოციტური ფორმულა, თრომბოციტები, ედსი ნორმის ფარგლებშია.

5. მკურნალობა

ფოლიუმის მჟავა ინიშნება ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეული ანემიის დროს 5-15მგ დოზით ერითროციტების რაოდენობის ნორმალიზაციამდე.

ვიტამინ B_{12} დეფიციტური ანემიის დროს მხოლოდ ფოლიუმის მჟავას დანიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესება.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დაზუსტებული დიაგნოზი, რასთან გვაქვს საქმე ვიტამინ B_{12} დეფიციტურ ანემიასთან თუ ფოლიუმის მჟავას დეფიციტით გამოწვეულ ანემიასთან, უნდა დაინიშნოს, როგორც ფოლიუმის მჟავა 15მგ, ასევე ვიტამინ B_{12} , ერითროციტების რაოდენობის ნორმალიზაციამდე.

ერითროციტული მასის გადასხმა უნდა ჩატარდეს მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში ფოლიუმის მჟავას გამოყენებას.

ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში მკურნალობა და პროფილაქტიკა:

- რეპროდუქციული ასაკის ქალებმა უნდა მიიღონ ფოლიუმის მჟავით მდიდარი პროდუქტები;
- ყველა ქალმა, რომელიც გეგმავს ორსულობას უნდა მიიღონ ფოლიუმის მჟავა 0,4 მგ დღეში, ორსულობის 12 კვირამდე;
- ქალებმა, რომლებმაც გააჩინეს ბავშვები ნერვული სისტემის პათოლოგიით უნდა მიიღონ ფოლიუმის მჟავა 4მგ დღეში, ორსულობის 12 კვირამდე;
- ფოლიუმის პრეპარატებს უპირატესობა ენიჭებათ პოლივიტამინებთან შედარებით.

პროგრესის მაჩვენებელია მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესება. 1 თვეში ჩემულებრივად სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლები – ერითროციტები, პემოგლობინი, ფერადობის მაჩვენებელი, ლეიკოციტები, თრომბოციტები, ედსი ნორმაში მოდის.

თუ ფოლიუმის მჟავით მკურნალობა არ იძლევა შედეგს უნდა ვიფიქროთ, რომ დიაგნოზი შეცდომით არის დასმული.

6. რეაბილიტაცია და დაპირება

მონიტორინგის სამიზნეები არიან:

- ალიმენტური დეფიციტის მქონე პირები;
- მოხუცები არასრულფასოვანი კვებით;
- კუჭ-ნაწლავის პათოლოგიის მქონე პაციენტები – ატროფიული გასტრიტი, მალაბსორბციის სინდრომი, კრონის დაავადება, კიბო, ლეიკემიები;
- კანის დაავადებები, ექსფოლიაციური დერმატიტით დაავადებულნი;
- ორსულები, მედუმურები;
- ავადმყოფები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში დებულობენ კიბოს, ანთების, ეპილეფსიის საწინააღმდეგო პრეპარატებს (ანტიბიოტიკები, ტუბერკულოზის, დიაბეტის, კრუნჩების, ჩასახების საწინააღმდეგო საშუალებები, სულფანილამიდები, ციტოსტატიკური პრეპარატები და ა.შ.).

7. გაიდლაინი, რომელსაც ეყრდნობა აღნიშვნული პროტოკოლი - „ფოლიუმის მქავას დეფიციტით გამოწვეული ანემია“.

8. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ოჯახის ექიმი, ჰემატოლოგი, ლაბორანტი, კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორია.